

განათლების ადმინისტრირების სტუდენტების გამოცდილებების
გამოკვლევა Covid - 19 ის პანდემიის პირობებში

ნათია სანიკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირებაში
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია სანიკიძე

01.02.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს მსოფლიოში გავრცელებული ახალი კორონა ვირუსის Covid_19 - ის გავრცელების პერიოდში სტუდენტების გამოცდილებების გამოკვლევას. კერძოდ, ნაშრომი მიზნად ისახავს დისტანციური სწავლების ფარგლებში სტუდენტების გამოცდილებების გამოკვლევას. კვლევა ჩატარდა კვლევის თვისებრივი მეთოდის ფენომენოლოგიური დიზაინის მიხედვით. შერჩეულ მეთოდზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს რესპონდენტების გამოცდილებების გამოკვლევას სიღრმისეულ ინტერვიუების გამოყენებით, განხორციელეთ 15 სიღრმისეული ინტერვიუ განათლების ადმინისტრირების სტუდენტებთან.

კვლევის ფარგლებში, ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა ქვემოთ ჩამოთვლილი თემატური ერთეულები, როგორცაა: დროის რესურსის ეფექტიანი მართვა; სტუდენტების მოტივაცია და დემოტივაცია; სასწავლო სივრცე და სოციალური ურთიერთობები; პიროვნული განვითარება და ავტონომიურობა; სტუდენტების აკადემიური მოსწრება; სასწავლო მეთოდი, ინსტრუმენტები და დავალებები; ონლაინ პლათფორმა და ონლაინ რესურსები, ინტეგრირებული სასწავლო გარემო.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, დისტანციური სწავლება, სტუდენტების გამოცდილებები, Covid_19 ის პანდემია

Abstract

The aim of research is to study the experiences of students during the spread of new coronavirus Covid-19 worldwide. The focus of the research is to examine the students distance learning experiences.

I used phenomenological method investigate students experiences and conducted in-depth interievs with 15 students of education administration at Ilia State University.

Based on the phenomenological method of qualitative research, the paper covers a small part of the theory and presents a larger share of methodology and interpretation of research results.

The research interviews highlighted the following key topics such as: Effective time resource management; Student motivation and demotivation; Learning space and social relationships; Personal development and Autonomy; Students academic grades; Teaching method, institutes and assignments, Online platform and online resources, Integrated learning environment.

Keywords: Higher education, Distance learning, Student's experiences, Covid_19 Pandemic

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო, ჩემი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასოცირებულ პროფესორს - ნათია ანდლულაძეს გაწეული დახმარებისთვის, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთელი კვლევის მიმდინარეობისას.

ასევე, მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების ადმინისტრირების სტუდენტებს ინტერვიუებში მონაწილეობასა და გაწეული დახმარებისათვის, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდა კვლევის შედეგების მიღება.